ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:გ-103. 103231185

თარიღი:28/04/2023

თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვასთან დაკავშირებული წარმომადგენლობითი ორგანოს(საბჭო) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭო)დებულება დანართის შესაბამისად;

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მის:ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17 გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი